



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი
თბილისი

ქ.

დისციპლინური საქმე №215/17

-- -- 2017 წლის 30 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №215/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე აჭიანურებს საქმის განხილვას. საჩივრის

წარმოდგენის მომენტისათვის საქმეზე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გასულია სამი თვე და ოცდაერთი დღე, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარის მიერ განცხადების სასამართლოში წარდგენიდან ერთი თვე და ოცდარვა დღე, თუმცა მოსამართლეს საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.

საჩივრის ავტორი ასევე, მიუთითებს, რომ სასამართლოს 2017 წლის 08 აგვისტოს განჩინებით მოპასუხეს წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარდგენა დაავალა 10 დღის ვადაში რაც არ განუხორციელებია. ამასთან, მხარის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად მოსამართლეს შესაგებლის წარუდგენლობის გამო მოპასუხე მხარის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის დანაწესი არ გამოუყენებია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 01 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 02 აგვისტოს განჩინებით, მოსარჩელე -- -- განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 07 (შვიდი) დღე.

მოსარჩელემ ასევე შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსათვის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოვალის ქონების ხელახლა დაყადაღების დაუყოვნებლივ დავალება და №--, №-- და №-- სააღსრულებო წარმოებების დალუქვა.

2017 წლის 08 აგვისტოს მოსარჩელე -- -- სასამართლოს წარუდგინა მის მიერ ხელმოწერილი დაზუსტებული სარჩელი, რომლის საფუძველზეც, დაზუსტდა შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოვალის ქონების - 1. ავტომანქანის -- -- სახ. ნომერი: --, 2. ავტომანქანა -- -- -- სახ. ნომერი: --, 3. ავტომანქანის -- -- -- სახ. ნომერი --, 4. ავტომანქანის -- -- სახ. ნომერი --, 5. სატვირთო ბორტიანის -- -- ახ. ნომერი: --, ავტომანქანა -- -- სახ. ნომერი --, 7. ავტომანქანის -- -- სახ. ნომერი --, 8. ცისტერნის -- -- სახ. ნომერი: --, 9. ავტომანქანის -- -- სახ. ნომერი: --, 10. სატვირთველის -- -- -- --სახ. ნომერი: --, 11. ექსკავატორის ბორბლიანი -- -- -- სახ. ნომერი: --, 12. გრეიდერი -- -- სახ. ნომერი: --, 13. ბუკდოზერის --, ს/ნ --, 14. ექსკავატორის ბორბლიანი, სახ. ნომერი: --, 15. ქვის სამტვრევი დანადგარის (ე.წ. "დრაბილკა"), 16. ბეტონის ქარხნის დაუყოვნებლივ დალუქვა. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ 2017 წლის თებერვალ-მაისში აღსრულების

შეჩერებისას მოვალემ გახარჯა მილიონობით ლარი, მოვალე ხარჯავს თანხებს და ცვეთს მანქანა-დანადგარებს, რაც მომავალში გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (იხ. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოვალე საქართველოს არარეზიდენტი იურიდიული პირია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობამ შესაძლოა შეუძლებელი გახადოს მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულება.

2017 წლის 08 აგვისტოს მოსარჩელე -- -- სასამართლოს წარუდგინა მის მიერ ხელმოწერილი დაზუსტებული სარჩელი, ასევე წარადგინა გასაჩივრებული აქტის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს №-- გადაწყვეტილება და სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 08 აგვისტოს.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე-- --) -- --სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში.

--- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 15 აგვისტოს.

2017 წლის 02 ოქტომბერს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელე -- -- და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 21 ივლისის №-- ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ადმინისტრაციულ საქმეზე №-- დართვა.

მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 18 დეკემბრის განცხადებით იშუამდგომლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის საფუძველზე და მოითხოვა სარჩელის განუხილველად დატოვება.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე დარჩა განუხილველად.

2.2. ამასთან, აღსანიშნავია არსებული სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის თანახმადაც მოსამართლე -- -- 2016 წელს განსახილველად ქონდა 415 საქმე, საიდანაც დაასრულა 126 (30%), ხოლო 2017 წელს განსახილველად ქონდა 685 და დაასრულა - 557 (81%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103),

შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

განსახილველ შემთხვევაში, -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში, ხოლო 22 დეკემბრის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველად. საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 15 აგვისტოს. ამდენად, განსახილველ საქმეზე სამართალწარმოება მიმდინარეობდა 4 თვე და 13 დღე.

მართალია მოსამართლეს 2017 წლის 15 აგვისტოდან 22 დეკემბრამდე საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, თუმცა საქმეზე მოსამართლის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადა არ დარღვეულა.

რაც შეეხება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარის განცხადების განხილვის ვადას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIV თავი, რომელიც რაიმე კონკრეტულ ვადას აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისათვის არ აწესებს. შესაბამისად, კონკრეტული ვადის არ არსებობის პირობებში მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევაზე ვერ ვისაუბრებთ.

ამდენად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის და საქმის განხილვის ვადის მიხედვით მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის „უსაფუძვლო/ბრალეული“ გაჭიანურების ნიშნები არ იკვეთება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად ვადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის

რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები.

არასაკატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე: ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე (განცხადებაზე) და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სააკატიო მიზეზი.

დადგენილია, რომ მოპასუხე მხარეს საქმეზე შესაგებელი არ წარუდგენია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაგებლის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა იცოდეს თუ რა პოზიცია გააჩნია მოპასუხეს სადავო საკითხებთან მიმართებაში, ხოლო ორივე მხარის პოზიციის ცოდნა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ფაქტობრივად და სამართლებრივად სწორად გადაწყვიტოს საქმე. მართალია, ადმინისტრაციული პროცესი ავალდებულებს მხარეს წარადგინოს შესაგებელი სასამართლოში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ადმინისტრაციული პროცესი არ ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან რაიმე საპროცესო ღონისძიების გამოყენებას იმ შემთხვევისათვის, თუკი მოპასუხე მხარის მიერ შესაგებელი არ იქნება წარდგენილი, ან დაგვიანებით იქნება შეტანილი. კერძოდ, არ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის პირველი ნაწილი). აგრეთვე, აღნიშნული შემთხვევა არ განიხილება მტკიცებულებების წარუდგენლობად, რა დროსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი).

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №215/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი